

კონფერენციის ბანრიზი



“პოლარიზაციის ხაზანბი: საქართველოს დემოკრატიის ნდობის კრიზისისა და პოპულიზმის ზრდის ფლვარზა” #GEODEM2019

სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, თბილისი | 03 აპრილი 2019

09:30	რეგისტრაცია ყავის თანხლებით
10:00	მისალმება
10:10	○ პროფ. კორნელი კაკაჩია, დირექტორი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
10:10	დიალოგი ევროკავშირის ელჩთან საქართველოში - კარლ ჰარცელთან .
10:40	მოდერატორი: პროფ. დავით აფრასიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
10:40	სესია 1: ცხსხლზე ცხსხლითვე პასუხი? შესაძლებელია პოზიტიური დღის წესრიგის შექმნა საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში?
12:00	მოდერატორი: ლორა თორტონი, საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
	<p>პირველი სესია ყურადღებას ამახვილებს, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ პოლარიზაციაზე და პოლიტიკური შეჭიბრებითობის რადიკალიზირებულ ბუნებაზე. პარტიულ პოლიტიკებს შორის პოლარიზაციის მაღალი ხარისხი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის კვლავ ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად რჩება. აღსანიშნავია, რომ ხშირად, პარტიები ამომრჩევლებისთვის პოზიტიური დღის წესრიგის შეთავაზებას ვერ ახერხებენ. ქვეყნის განვითარების შესახებ თავიანთი ხედვების წარდგენისა და მძიმე სოციო-ეკონომიკური სიტუაციის (ან ბევრი სხვა ისეთი საკითხის, რომლებიც ამომრჩევლებს აწუხებთ) განხილვის ნაცვლად, წინასაარჩევნო კამპანიები ხშირად სკანდალებსა და ოპონენტების დემონიზების მცდელობებზეა დაფუძნებული. ეს სტრატეგია პოლიტიკურ პარტიებს შორის ნულოვანი ჯამის თამაშს ქმნის და სტაბილური პარტიული სისტემის შექმნას აფერხებს. აგრეთვე, იგი პოლიტიკურ პარტიებს კამპანიის წარმოების პოპულისტური და რადიკალური მეთოდებისკენ უბიძგებს და ქართულ პარტიულ პოლიტიკაში საზიანო ტენდენციების ქმნის. მეტიც, იგი ნეგატიურ გავლენას ახდენს ელექტორატის მოლოდინებზე და მთელი პოლიტიკური სივრცის რადიკალიზაციას ახდენს, რასაც შედეგად ამომრჩევლის ნიჭილიზმი და პოლიტიკური აპათია მოაქვს. გაზრდილი პოლარიზაცია და არათანაბარი პოლიტიკური პირობები სხვა პოლიტიკურ აქტორებსაც ართმევს არჩევნებში სამართლიანი შეჭიბრების შანსს. სესიაზე განხილული იქნება, თუ რა გავლენას ახდენს ამომრჩევლებზე პოლიტიკური ოპონენტების დემონიზაციისა და მარგინალიზაციის მცდელობები. ასევე, მომხსენებლები ისაუბრებენ [ტრადიციულ] პოლიტიკურ პარტიებში ნდობის შესაქმნელად და შესანარჩუნებლად არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე.</p>
	სესიის ძირითადი კითხვები:
	<ol style="list-style-type: none">1. როგორ მუშაობს ნდობის შენარჩუნება/მშენებლობა ტრადიციულ პარტიებში? (საერთაშორისო კონტექსტი, უცხოელი მომხსენებელი)2. რატომ ვერ ახერხებენ ქართული პოლიტიკური პარტიები ელექტორატთან განგრძობითი კონტაქტის/ნდობის შენარჩუნებას? აგრესიულ და ნეგატიურ კამპანიებზე ფოკუსირების ნაცვლად, რატომ არ შეუძლიათ მათ ამომრჩევლებისთვის პოზიტიური დღის წესრიგის შეთავაზება?3. რატომ ცდილობენ პოლიტიკური პარტიები ოპონენტების მარგინალიზაციას? რამდენად უთხრის ძირს აღნიშნული პროცესი ამომრჩევლის მხრიდან პოლიტიკური პარტიების აღქმას? შესაძლებელია პოლიტიკური პარტიების მიმართ ქართული საზოგადოების ნდობის აღდგენა?4. შესაძლებელია პოლიტიკური პარტიების “იძულება”, რომ მათ უფრო პოზიტიური პოლიტიკური კამპანიები აწარმოონ?
	მომხსენებლები:
	○ 10:40 დოქტ. ალესანდრო ნაი - ამსტერდამის უნივერსიტეტი
	○ 10:50 არჩილ თალაკვაძე - პარტია „ქართული ოცნება“
	○ 11:00 გიორგი ბარამიძე - პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
	○ 11:10 ხათუნა სამნიძე - საქართველოს რესპუბლიკური პარტია
	○ 11:20 პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონფერენციის ბანრიზი



“პოლარიზაციის ხაზანბი: საქართველოს დემოკრატიის ნდობის კრიზისისა და პოპულიზმის ზრდის ფლვარზა” #GEODEM2019

სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, თბილისი | 03 აპრილი 2019

12:00 12:25	შესვენება ყავის თანხლებით
12:25 13:45	სესია 2: სამოქალაქო საზოგადოება და მედიის პოლარიზაცია: როგორ ბარდავქმნათ პოლარიზაცია პლურალიზმად? მოდერატორი: რაიჰან დემირი, კორსპონდენტი, BBC News <p>პოლიტიკური სივრცის ინტენსიური პოლარიზაცია საქართველოში მხოლოდ პოლიტიკური პარტიებით არ შემოიფარგლება და სხვა სფეროებზეც ვრცელდება. უკიდურესი პოლარიზაცია და მოვლენების მიკერძოებული გაშუქება საქართველოს სხვა მხრივ პლურალისტური მედიალანდშაფტისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. სამოქალაქო საზოგადოება და საჯარო სივრცეები გაზრდილი რადიკალიზაციითა და არატოლერანტობით ხასიათდება. გამონწვევის არსი იმაშია, თუ როგორ უნდა მოხდეს პოლარიზაციისა და პლურალიზმს შორის ფლვარის იდენტიფიკაცია, იმისათვის, რომ საქართველოში დემოკრატიული განვითარება გაძლიერდეს. მეორე სესიაზე მომხსენებლები ისაუბრებენ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში, მათ შორის მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში, არსებულ პოლარიზაციაზე და სიტუაციის შესამსუბუქებელ გზებს განიხილავენ. აგრეთვე, სესიის მომხსენებლები შემოგვთავაზებენ თავიანთ ხედვებს, თუ როგორ უნდა გარდავქმნათ პოლარიზაცია პლურალიზმად.</p> <p><u>სესიის ძირითადი კითხვები:</u></p> <ol style="list-style-type: none">1. რა გავლენას ახდენს პოლარიზაცია დემოკრატიულ პროცესზე? რა არის პოლარიზაციისა და პლურალიზმს შორის არსებული გამყოფი ხაზი?2. არსებობს გზები/მექანიზმები მედიაში პოლარიზაციის შესამსუბუქებლად?3. როგორ შეიძლება მიკერძოებულობა და პოლარიზაცია პლურალიზმად გარდაიქმნას?4. რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ გარე ფაქტორებს პოლარიზაციაზე ქართულ საზოგადოებაში? რა შეიძლება გაკეთდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ნეგატიური გარე გავლენებისგან დასაცავად? <p><u>მომხსენებლები:</u></p> <ul style="list-style-type: none">○ 12:25 დოქტ. მარინა ვაშაყმაძე - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია○ 12:35 ლაშა ქავთარაძე - „მედია ჩეკერი“○ 12:45 ანა ნაცვლიშვილი - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი○ 12:55 პროფ. ფერნანდო კასალ ბერტოა - ნოტინგჰემის უნივერსიტეტი○ 13:00 ნინო რობაქიძე - SAFE ინიციატივის ევრაზიის ცენტრი, IREX
13:45 14:40	სადილი
14:40 16:00	სესია 3: “პოპულიზმი ქართულ ფერებში” – რადიკალური პოპულიზმის გამომწვევა მოდერატორი: ფელიქს ჰეტი, სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES) <p>ბოლო, მესამე სესია საქართველოს წინაშე მზარდი პოპულიზტური ნაციონალიზმის სახით მდგარ გამომწვევას ეხება და ულტრა-მემარჯვენეების ზრდის პოტენციალის შესუსტების შესაძლებლობებს განიხილავს. ევროკავშირის ქვეყნებში მსგავსი ტენდენციის შემდეგ, რადიკალური პოპულიზმი უკვე საქართველოს საჯარო და პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა დონეზე აღმოცენდა. მინსტრიმული და ევროსკეპტიკოსი პარტიები პოპულიზტურ დისკურსს და სტრატეგიებს თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებენ. პოპულიზმი ასევე ფართოდ გამოიყენება ახალი, რადიკალიზებული ახალგაზრული ჯგუფების, მედია გამოცემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. მეტიც, ქართული საზოგადოების ძლიერი სოციო-კონსერვატიული</p>

კონფერენციის ბანრიზი



“პოლიტიკის ხანა: საქართველოს დემოკრატიის ნდობის კრიზისის და პოპულიზმის ზრდის ფაქტორები” #GEODEM2019

სასტუმრო რედისონ ბლუ ივერია, თბილისი | 03 აპრილი 2019

დამოკიდებულებები საზოგადოებას ევროსკეპტიკური ნარატივების მიმართ განსაკუთრებით მონაცვლადს ხდის. მესამე სესია, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში პოპულიზტური ნაციონალიზმის ზრდის საკითხს განიხილავს. კერძოდ, თუ რას ნიშნავს პოპულიზმი საქართველოს კონტექსტში? როგორ განსხვავდება იგი პოპულიზმის 10 წლის წინანდელი ცნებისგან? და საქართველოში არსებული ტენდენციები რამდენად ჯდება საერთაშორისო კონტექსტში?

სესიის ძირითადი კითხვები:

1. “პოპულიზმი ქართულ ფერებში” – რა არის ამ პოლიტიკური ფენომენის გამომწვევი მიზეზი? რა არის ძირითადი დისკურსები, საკითხები და გამომწვევები საქართველოში?
2. რა როლი აქვს მემარჯვენე პოპულიზმს საქართველოში და რამდენად დიდი გავლენა აქვს მას? რამდენად უქმნის საფრთხეს მემარჯვენე პოპულიზმი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას? როგორ შეუძლია საქართველოს მთავრობას და ქართულ საზოგადოებას რადიკალური პოპულიზმის პრობლემის დაძლევა?
3. როგორ ჯდება ქართული პოპულიზტური ტენდენციები საერთაშორისო კონტექსტში?

მომხსენებლები:

- 14:40 **დოქტ. დავით სიჭინავა** - კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
- 14:50 **ლაშა ბაქრაძე** - ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
- 15:00 **გრიგოლ გეგელია** - ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტი
- 16:10 **ეკა ჭითანავა** - ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი
- 16:20 **ზაზა ფირალიშვილი** - ფილოსოფოსი

16:00	შეჯამება <ul style="list-style-type: none">○ რენატა სკარაჯუტე-კერესელიძე, დირექტორის მოადგილე, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)
16:10	
16:10	კონფერენციის დასასრული



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment
for Democracy**

Supporting freedom around the world